დადგენილება:**დ-95. 95251501**

თარიღი:**30/05/2025**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
30 მაისი 2025 წ.

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახევ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №27 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო - ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.134.016235, 09/01/2018) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლი მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის ასევე:

ა) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფლის მეურნეობისა და მთის განვითარების საკითხებში;

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში;

გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი